

შპს ედენა

საიდ.კოდი 431945041

დირექტორი-სულხან მეტრეველი

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური
ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს
ფასს) შესაბამისად მომზადებული ფინანსური

ანგარიშგება

2020წ

სარჩევი

სრული შემოსავლების ანგარიშგება 3

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 5 - 8

სრული შემოსავლების ანგარიშგება 01.01.2019 - 31.12.2019 პერიოდისთვის

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 2020	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი
აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	205 122	282 515
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	501 739	367 454
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	114 538	4 707
მარაგები	1 516 098	971 063
მზა პროდუქცია	639 627	547 559
სხვა	876 471	423 504
საინვესტიციო ქონება		
სხვა მოკლევადიანი აქტივები	12 273	28 955
ბიოლოგიური აქტივები		
თვითღირებულების მოდელით		
გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები	1 085	1 277
ძირითადი საშუალებები	1 026 930	952 604
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები	3 377 785	2 608 575

ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	595 024	543 145
ანარიცხები	1 169	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	40 156	5 256
საგადასახადო ვალდებულებები	(20 230)	(11 985)
გამოუმუშავებელი შემოსავალი		
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	325 850	433 542
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	440 000	
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები	80	59 250
სულ ვალდებულებები	1 382 049	1 029 208

საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	100	100
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	1 995 636	1 579 267
გადაფასების რეზერვი		
სხვა რეზერვები		
სულ საკუთარი კაპიტალი	1 995 736	1 579 367
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3 377 785	2 608 575

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2018-ის თარიღისთვის

	2019	2020
ნეტო ამონაგები	2 058 292	2 105 173
საქონლის გაყიდვიდან	2 056 692	2 103 320
მომსახურების გაწევიდან		
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა	1 600	1 853

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1 012 648)	(1 140 373)
საწყისი მარაგები	(1 038 464)	
მარაგების შესყიდვა	(843 622)	
გადამუშავების დანახარჯები	(101 625)	
საბოლოო მარაგები	971 063	
საერთო მოგება	1 045 644	964 800

სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	(211 710)	(243 105)
ცვეთა და ამორტიზაცია	(49 529)	(49 396)
საპროცენტო შემოსავალი:	12 377	14 282
საპროცენტო ხარჯი :	(37 010)	(46 626)
იჯარის ხარჯი		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(261 770)	(308 712)
სულ საოპერაციო ხარჯები	(547 642)	(633 557)

საოპერაციო მოგება	498 002	331 243
-------------------	---------	---------

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		
მარაგები		
სხვა არაფინანსური აქტივები		

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	(11 337)	(10 024)
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	3 863	95 150
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	490 528	416 369
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)	490 528	416 369

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	490 528	416 369

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1 341 471	1 579 367
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)	490 528	416 369
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(252 632)	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1 579 367	1 995 736

შპს ედენა
სააღრიცხვო პოლიტიკა და 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ედენა რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 22/02/2010წ) კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თერჯოლა, რუსთაველის ქ N 1. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 431945041.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის წილს ფლობს ხუთი მესაკუთრე

- მაია კუკულაძე- 25%
- ნინო კვანჭახაძე- 8,75%
- ავთანდილ ლომთათიძე- 33,75%
- ირაკლი კვანჭახაძე- 16,25%
- გიორგი ბაქრაძე-16,25%

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა: 10390-ხილის და ბოსტნეულის გადამუშავება და კონსერვირება.

ხელმძღვანელი: დირექტორი-სულხან მეტრეველი

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის შესაბამისად.

3. ძირითადი საშუალებები

ძირითად საშუალებებს მიეკუთვნება მატერიალური აქტივი, რომელსაც კომპანია იყენებს საქონლის წარმოების, მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და ადმინისტრაციული მიზნებისათვის და რომლის გამოყენების ვადა აღემატება ერთ წელს.

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად ფასდება თვითღირებულების თანხით. თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან უშუალოდ დაკავშირებულ, დანიშნულების ადგილამდე მოტანისა და მუშა-მდგომარეობამდე მოყვანის ხარჯებს.

ძირითად საშუალებად აღიარების შემდგომ, მასზე გაწეული ისეთი ხარჯები, რომლებიც ახორციელებენ ძირითადი საშუალების მოდერნიზაციას, კაპიტალიზდება და ჩაირთვება ამ აქტივის თვითღირებულებაში.

ძირითად საშუალებაზე ცვეთის დარიცხვა ხდება ექსპლოატაციაში გაშვების შემდეგ ყოველწლიურად კლებადი ნაშთის მეთოდით და დაყოფილია შემდეგი კატეგორიის მიხედვით:

		31/12/2020
შენობა ნაგებობები	5%	480290
მანქანა-დანადგარები	20%	69067
თბოტექნიკური მოწყობილობები	8%	68578
სპეც.ინსტუმენტები და ინვენტარი	20%	7537
მიწის ნაკვეთი		75225
დაუმთავრებელი მშენებლობა		323482
სათადარიგო საშუალებები		2750

არამატერიალური აქტივი შედგება ბუღალტრული პროგრამებისგან.

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები (მოთხოვნები მიწოდებიდან) აღიარებულია გარიგების ფასით, ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისაგან, რომელსაც კომპანიამ მიაწოდა პროდუქცია, შემოსავლად აღიარა მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ვინაიდან არ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებები, ფინანსურ ანგარიშგებაში ისინი აღრიცხულია ნომინალური ღირებულებით.

5. მარაგები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების თვითღირებულებაში შეიტანება მისი შეძენის, ადგილზე მიტანის და წარმოების პირდაპირი ხარჯები.

კომპანია სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებს აღრიცხავს აღრიცხვის უწყვეტი მეთოდით.

რეალიზებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობის თვითღირებულების შესაფასებლად გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდი.

მარაგები დაყოფილია შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

მზა პროდუქცია, რომელიც გამიზნულია გასაყიდად 639627

დაუმთავრებელი წარმოება, რომელიც მონაწილეობს

გაყიდვისათვის გამიზნული პროდუქციის წარმოების პროცესში 615280

ნედლეული და მასალები რომელიც მოიხმარება წარმოების პროცესში 251610

6. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში

7. სავაჭრო ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულება რომელიც აკისრია კომპანიას მოიცავს ვალდებულებათა შემდეგ კლასებს: კრედიტორული დავალიანება და მყიდველებისგან მიღებული ავანსი, რომლის ფარგლებშიც უნდა მოვახდინოთ პროდუქციის მიწოდება ეტაპობრივად.

8. სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებები მოიცავს საკრედიტო ორგანიზაციიდან და ფიზიკური პირიდან მიღებულ სესხს. საკრედიტო ორგანიზაციიდან მიღებულია ბიზნეს სესხი და აგროსესხი. ბიზნეს სესხთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, რადგან აღნიშნული სესხები განკუთვნილია საბრუნავი საშუალებების შესაძენად. აგროსესხთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება მშენებლობის დანახარჯებში, რადგან განკუთვნილია საწარმოო ფართის მშენებლობისათვის.

9. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება (რომელიც მოიცავს ცვლილებებს საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და ა.შ.) შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის პარტნიორების გადაწყვეტილებით.

აკუმულირებული მოგება მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების მოგებას. დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდისათვის, რომელშიც გამოცხადდა.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2021 წლის 01 სექტემბერს

შპს ედენას დირექტორი:

ს. მეტრეველი